

საშუალოვადიანი პერიოდის პროგნოზების შედარება

წინამდებარე პროგნოზი, მომზადდა 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის მიზნით და წარმოადგენს 2018 წლის ივლისის თვეში საქართველოს მთავრობის მიერ მოწონებული ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების პროექტზე თანდართული პროგნოზის განახლებულ ვარიანტს.

პროგნოზების განახლებისას განხორციელებული ცვლილებები გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის უნიშვნელოვანესია ის, რომ მიმდინარე წლის ნოემბერში საქართველოს სტატისტიკის სამსახურის მიერ განხორციელდა 2016 წლის ფაქტიური მონაცემების დაზუსტება, რასაც გავლენა აქვს მთელ საპროგნოზო პერიოდზე. თუმცა მიმდინარე ტენდენციების ანალიზის საფუძველზე, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონსულტაციებისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიებთან მოლაპარაკების შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა ძირითადი ვარაუდებისა და დაშვებების კორექტორება.

ცხრილი 1. გვიჩვენებს ძირითადი ვარაუდებისა და დაშვებების ცვლილებებს. ცხრილებში შეტანილია 2016 წლის ფაქტიური მაჩვენებლებიც, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს 2016 წლის ფაქტიური მონაცემების დაზუსტებით გამოწვეული ცვლილების ეფექტი. როგორც ვხედავთ ცვლილებები განიცადა მშპ-ს ზრდის 2017 წლის მოსალოდნელმა მაჩვენებელმა და 2018-2021 წლების საშუალოვადიანმა პროგნოზმა. შეცვლილია ასევე, მშპ-ს დეფლატორის 2017 წლის მოსალოდნელი მაჩვენებელი და 2018 წლის პროგნოზი. ასევე, ცხრილიდან ჩანს, რომ მონაცემების დაზუსტების გამო ცვლილებები განიცადა 2016 წლის მშპ-ს ზრდისა და მშპ-ს დეფლატორის ფაქტიურმა მაჩვენებელმა. შედეგად, შეცვლილია 2016 წლის ნომინალური და რეალური მშპ. რამაც, ბუნებრივია გავლენა იქონია მთელ საპროგნოზო პერიოდზე.

ცხრილი 1. ძირითადი ვარაუდები და დაშვებები

	2016 ფაქტ.	2017 მოსალ.	2018 პროგნ.	2019 პროგნ.	2020 პროგნ.	2021 პროგნ.
რეალური მშპ-ს ზრდა, %						
წინა პოგნოზი	2.7%	4.0%	5.5%	6.0%	6.0%	6.0%
ახალი პროგნოზი	2.8%	4.5%	4.5%	5.0%	5.5%	6.0%
სხვაობა	0.1%	0.5%	-1.0%	-1.0%	-0.5%	0.0%
მშპ-ს დეფლატორის პროცენტული ცვლილება						
წინა პოგნოზი	4.0%	4.0%	3.0%	3.0%	3.0%	3.0%
ახალი პროგნოზი	4.2%	5.5%	3.5%	3.0%	3.0%	3.0%
სხვაობა	0.2%	1.5%	0.5%	0.0%	0.0%	0.0%
საპროცენტოგანაკვეთი სესხენზე, %						
წინა პოგნოზი	19.6%	17.5%	15.5%	13.5%	11.5%	9.5%
ახალი პროგნოზი	19.6%	17.5%	15.5%	13.5%	11.5%	9.5%
სხვაობა	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
საპროცენტოგანაკვეთი დეპოზიტებზე, %						
წინა პოგნოზი	9.4%	8.4%	7.4%	6.4%	5.4%	4.4%
ახალი პროგნოზი	9.4%	8.4%	7.4%	6.4%	5.4%	4.4%
სხვაობა	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, როგორც ცნობილია, მაკროეკონომიკური პროგნოზირებისთვის იყენებს მოდელს. საწყისი პერიოდის მონაცემების ცვლილება და საწყისი ცვლადების კორექტირება გავლენას ახდენს საბოლოო შედეგებზე რაც ასახულია მაკროეკონომიკურ პროგნოზებში.

ცხრილი 2. გვიჩვენებს ნომინალური მშპ-ს ძველ და განახლებულ პროგნოზებს. ცხრილში მოცემულია როგორც საპროგნოზო მშპ-ს ცვლილება, ასევე მისი შემადგენელი ცალკეული კომპონენტის სხვაობები წინა პროგნოზთან შედარებით. როგორც ვხედავთ 2016 წლის ფაქტიური და 2017 წლის მოსალოდნელი მშპ-ს გავლენით, უმიშვნელოდ, მაგრამ გაზდილია ნომინალური მშპ-ს საშუალოვადიანი პროგნოზები.

ცხრილი 2. ნომინალური მშპ-ს ცვლილება

(მლნ ლარი)	2016 ფაქტ.	2017 მოსალო.	2018 პროგნ.	2019 პროგნ.	2020 პროგნ.	2021 პროგნ.
ნომინალური მშპ-ს წინა პროგნოზი	33,921.6	36,689.6	39,868.8	43,528.7	47,524.7	51,887.5
ცვლილებები						
სამომხმარებლო ხარჯები	128.2	-969.2	-634.1	-833.2	-1,081.3	-1,395.6
მთავრობა	0.0	69.0	20.0	70.0	80.0	65.0
კერძო	128.2	-1,038.2	-654.1	-903.2	-1,161.3	-1,460.6
ინვესტიციები	136.8	742.6	327.3	60.7	-17.5	148.5
მთავრობა	0.0	413.0	80.0	-50.0	-70.0	90.0
კერძო	136.8	329.6	247.3	110.7	52.5	58.5
ექსპორტი	85.3	2,278.9	2,232.9	2,147.7	2,211.1	2,475.2
საქონელი	80.5	1,406.9	1,529.4	1,629.5	1,778.8	1,992.8
მომსახურება	4.8	872.0	703.6	518.3	432.3	482.4
იმპორტი	243.4	1,226.4	1,219.1	1,021.2	951.8	1,052.8
საქონელი	253.8	1,235.2	1,205.0	1,043.8	996.7	1,101.3
მომსახურება	-10.4	-8.7	14.1	-22.5	-44.9	-48.5
სულ მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილება	106.8	825.9	707.1	354.0	160.5	175.3
ნომინალური მშპ-ს ახალი პროგნოზი	34,028.5	37,515.5	40,575.8	43,882.8	47,685.2	52,062.7

რეალური მშპ-ს და მისი შემადგენელი კომპონენტების ცვლილებები მოცემულია ცხრილში 3. როგორც ვხედავთ, თავდაპირველი მონაცემებისა და ვარაუდების ცვლილების გამო, 2018-2021 წლების საპროგნოზო რეალური მშპ უმიშვნელოდ, მაგრამ მაინც ჩამორჩება მის თავდაპირველ საპროგნოზო მაჩვენებელს. აღსანიშნავია, რომ არაერთგვაროვანი ტენდენცია აქვს რეალური მშპ-ს შემადგენელი კომპონენტების ცვლილებას, კერძოდ, თავდაპირველ პროგნოზთან შედარებით მცირდება როგორც რეალური სამომხმარებლო ხარჯების, ისე საინვესტიციო ხარჯების მოცულობაც, თუმცა სამომხმარებლო ხარჯები მცირდება ინვესტიციებზე მეტად, რაც მნიშვნელოვანია, რადგან საშუალოვადიანი პესპექტივისათვის ინვესტიციებმა უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური განვითარების საჭირო ტემპის შენარჩუნება. ზრდადია რეალური ექსპორტიც და იმპორტიც, თუმცა რეალური ექსპორტის მატება თავდაპირველ პროგნოზთან შედარებით აჭარბებს იმპორტის ცვლილებას. წმინდა ექსპორტის მომატებამაც დადებითი ეფექტი უნდა იქონიოს საშუალოვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის. ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული საგადასახდელო ბალანსის კომპონენტების ცვლილება უცხოური ვალუტით.

ცხრილი 3. რეალური მშპ-ს ცვლილება (2001 წლის მუდმივ ფასებში)

2001 წლის მუდმივ ფასებში	2016 ფაქტ.	2017 მოსალ.	2018 პროგნ.	2019 პროგნ.	2020 პროგნ.	2021 პროგნ.
რეალური მშპ-ს წინა პროგნოზი	15,267.6	15,878.3	16,751.6	17,756.7	18,822.2	19,951.5
ცვლილებები						
სამომხმარებლო ხარჯები	60.5	-612.5	-516.5	-599.1	-698.2	-818.5
მთავრობა	0.0	10.9	-18.1	3.1	6.3	-0.7
კერძო	60.5	-623.3	-498.4	-602.2	-704.5	-817.8
ინვესტიციები	64.6	243.0	8.2	-121.0	-166.7	-114.4
მთავრობა	0.0	174.1	13.6	-46.1	-56.9	4.3
კერძო	64.6	68.9	-5.4	-74.9	-109.8	-118.7
ექსპორტი	24.2	852.2	754.4	679.6	664.0	721.9
საქონელი	29.6	544.3	552.6	567.6	599.2	651.8
მომსახურება	-5.4	307.9	201.8	112.0	64.7	70.2
იმპორტი	133.7	390.0	307.9	191.9	133.0	143.1
საქონელი	136.0	432.0	351.7	254.1	207.3	221.7
მომსახურება	-2.4	-42.0	-43.7	-62.3	-74.3	-78.7
სულ მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილება	15.6	92.8	-61.8	-232.4	-334.0	-354.0
რეალური მშპ-ს ახალი პროგნოზი	15,283.2	15,971.1	16,689.8	17,524.3	18,488.2	19,597.5

მაკროეკონომიკური ინდიკატორების და ვარაუდების ცვლილება აისახება ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლებზეც. ნაერთი ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების ცვლილება მოცემულია ცხრილში 4. როგორც ვხედავთ ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების განახლებული საპროგნოზო მაჩვენებლები მომატებულია, გარდა 2021 წლისა. როდესაც საპროგნოზო შემოსავლები უნიშვნელოდ მაგრამ მაინც ჩამორჩება თავდაპირველ პროგნოზს. საბიუჯეტო შემოსავლების პროგნოზების ზრდა გამოწვეულია ეკონომიკური ზრდის პროგნოზის კორექტირებით და შესაბამისად, 2017 წლის მოსალოდნელი გადაჭარბებით. შემდგომ წლებში 2017 წლის მოსალოდნელ გადაჭარბებასთან შედარებით ნაკლები ზრდა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ საწვავზე და თამბაქოზე აქციზის განაკვეთისმატების შემდეგ, აქციზის წილი მთლიან საგადასახადო შემოსავლებში გაზრდილია. რადგან აქციზით იბეგრება მოხმარებული რაოდენობა და არა ღირებულება, ამიტომ აქციზის გადასახადიდან მიღებული შემოსავალი არ იზდება ნომინალური მშპ-ს პროპორციულად. იმის გათვალისწინებით, რომ არც აქციზური პროდუქტის მოხმარება იზრდება რეალური მშპ-ს პროპორციულად, აქციზიდან მისაღები შემოსავლების ზრდა რეალური მშპ-ს ზრდაზე ნაკლებია. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ნომინალური მშპ მცირედ აჭარბებს თავდაპირველ პროგნოზს, მშპ-ს ზრდის კორექტირების გამო, საგადასახადო შემოსავლები, საპროგნოზო პერიოდის უკანასკნელი ორი წლისთვის, თავდაპირველ პროგნოზებზე მაინც ნაკლებია. ბიუჯეტის ხარჯების პროგნოზში ასახულია სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა. კერძოდ, შემოსავლებისა და დაფინანსების წყაროების შესაბამისად, შეცვლილია ხარჯებისა და არა ფინანსური აქტივების ზრდის პროგნოზებიც.

ცხრილი 4. ნაერთი ბიუჯეტი

(მლნ ლარი)	2016 ფაქტ.	2017 მოსალ.	2018 პროგნ.	2019 პროგნ.	2020 პროგნ.	2021 პროგნ.
შემოსავლების ძველი პროგნოზი	9,675.5	10,530.0	11,181.0	12,135.0	13,160.0	14,242.0
ცვლილებები სულ	0.0	335.0	289.0	195.0	70.0	-52.0
გადასახადები	0.0	200.0	125.0	115.0	-10.0	-102.0
გრანტები	0.0	100.0	110.0	30.0	30.0	0.0
სხვა შემოსავლები	0.0	35.0	54.0	50.0	50.0	50.0
შემოსავლების ახალი პროგნოზი	9,675.5	10,865.0	11,470.0	12,330.0	13,230.0	14,190.0
ხარჯები და არა ფინანსური აქტივების ძველი პროგნოზი	10,522.1	10,756.0	11,930.0	12,904.0	13,820.0	14,810.0
ცვლილებები სულ	0.0	464.0	215.0	196.0	210.0	164.0
ხარჯები	0.0	51.0	135.0	246.0	280.0	74.0
შრომის ანაზღაურება	0.0	-24.0	-25.0	-20.0	-15.0	-30.0
საქონელი და მომსახურება	0.0	93.0	45.0	90.0	95.0	95.0
პროცენტი	0.0	-18.0	10.0	-15.0	-40.0	-110.0
სუბსიდიები	0.0	50.0	100.0	80.0	65.0	34.0
გრანტები	0.0	3.0	-5.0	10.0	15.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	0.0	27.0	25.0	116.0	220.0	170.0
სხვა ხარჯები	0.0	-80.0	-15.0	-15.0	-60.0	-85.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	413.0	80.0	-50.0	-70.0	90.0
ხარჯები და არა ფინანსური აქტივების ახალი პროგნოზი	10,522.1	11,220.0	12,145.0	13,100.0	14,030.0	14,974.0

ცვლილებები განიცადა ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთერთობების პროგნოზმატ. როგორც ზემოთ აღინიშნა მომატებულია როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის საპროგნოზო მაჩვენებლები, თუმცა ექსპორტის მატება აჭარბებს იმპორტის შესაბამის მაჩვენებელს, რის გამოც, როგორც საქონლით ვაჭრობის, ისე მოსახურების წმინდა ექსპორტი გაზდილია, რასაც დადებითი ეფექტი უნდა ჰქონდეს ქვეყნის ქვეყნის საშუალოვადიან ეკონომიკურ განვითარებაზე.

შემცირებულია ფაქტორული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებზე გავლენა მოახდინა 2017 წლის გასული პერიოდის ტენდენციებმა, რაც აშკარად მიუთითებს გასულ წლებში არარეზიდენტების მიერ ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლების ზრდაზე, რაც სავარაუდოა, რომ შენარჩუნდება მომდევნო წლებშიც. მუხედავად იმისა, რომ უცხოელების მიერ ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლების ნაწილი რეინვესტირების სახით უკან უბრუნდება ეკონომიკას, იგი მაინც აისახება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტზე და აუარესებს მას. როგორც ცხრილიდან ჩანს, ფაქტორული შემოსავლების სახით გადინებული თანხები აჭარბებს წმინდა ექსპორტის დადებით ეფექტს და თუ გავითვალისწინებთ, რომ წმინდა მიმდინარე ტრანსფერების სახით ქვეყანაში შემოდინებული სახსრების პროგნოზი მნიშვნელოვნად არ არის შეცვლილი, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი თავდაპირველ პროგნოზთან შედარებით გაუარესებულია, თუმცა დეფიციტის ზრდა არ არის ისეთი, რომ უარყოფითი გავლენა იქონიოს ქვეყნის მაკროეკონომიკურ განვითარებაზე.

ცხრილი 5. საგადასახდელო ბალანსი

მიმდინარე ანგარიში (მლნ აშშ დოლარი)	2016 ფაქტ.	2017 მოსალ.	2018 პროგნ.	2019 პროგნ.	2020 პროგნ.	2021 პროგნ.
მიმდინარე ანგარიში ძველი პროგნოზი	-1,909.8	-1,693.7	-1,610.2	-1,509.5	-1,379.2	-1,224.7
ცვლილებები სულ	69.6	167.0	49.9	-73.0	-167.0	-218.1
საქონელი	-73.2	68.7	129.8	234.3	312.8	356.6
საქონლის ექსპორტი	34.0	562.7	611.7	651.8	711.5	797.1
საქონლის იმპორტი	107.2	494.1	482.0	417.5	398.7	440.5
მომსახურება	6.4	352.3	275.8	216.3	190.9	212.4
მომსახურების ექსპორტი	2.0	348.8	281.4	207.3	172.9	193.0
მომსახურების იმპორტი	-4.4	-3.5	5.6	-9.0	-18.0	-19.4
წმინდა ფაქტორული შემოსავლები	124.6	-315.6	-420.9	-541.1	-681.0	-791.6
წმინდა მიმდინარე ტრანსფერები	11.8	61.6	65.2	17.5	10.2	4.6
მიმდინარე ანგარიში ახალი პროგნოზი	-1,840.2	-1,526.7	-1,560.3	-1,582.6	-1,546.2	-1,442.8